



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 21

2017 წლის 24 მარტი

ქ. თბილისი

**„მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო
სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო
დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ**

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მაია ქაჯაიას 2017 წლის 24 მარტის სამსახურებრივი ბარათის (N282483) შესაბამისად


ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.
2. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
11. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი